სასტუმრო ბიზნესის ფინანსური რისკების ანალიზი და რისკების მართვის სტრატეგიები საქართველოში

ბექა მემარნიშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე ბიზნესის ადმინისტრირების (ფინანსები) მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სამაგისტრო პროგრამა: საბანკო და საფინანსო საქმე

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნათია სურმანიძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2026

განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მაგისტრი,

15.01.2026

აბსტრაქტი

სამაგისტრო ნაშრომი მოიცავს, საქართველოში სასტუმრო სექტორის ფინანსური რისკების ანალიზს და რისკ-მენეჯმენტის სტრატეგიებს. ტურიზმის სექტორის პოპულარობა და საქართველოს ეკონომიკისთვის დარგის წვლილი განაპირობებს კვლევის აქტუალურობას, და ასევე მომატებული რისკიანობა, რომელიც ბოლო რამდენიმე წელია გამოიკვეთა.

კვლევის მიზანია საქართველოში სასტუმრო ბიზნესის ფინანსური რისკების იდენტიფიცირება, შეფასება და რისკ-მენეჯმენტის სტრატეგიის შემუშავება.

კვლევისთვის გამოყენებულია შერეული მეთოდოლოგია, რომელიც აერთიანებს როგორც რაოდენობრივ, ისე თვისობრივ მიდგომას. კვლევისთვის შედგა 30 სასტუმროს გამოკითხვა, 5 ღრმა ინტერვიუ და მეორადი მონაცემებიის ემპირიული კვლევა.

კვლევის შედეგებით გამოვლინდა სექტორის მთავარი რისკები, პირველ ადგილზეა ლიკვიდობა, შემდეგ მოდის კრედიტთან დაკავშირებული რისკები, ბაზრის ზრდასთან დაკავშირებული რისკები. ასევე გამოიკვეთა, რომ მხოლოდ მაღალი კლასის სასტუმრობეს აქვთ რისკ-მენეჯმენტის სისტემა შემუშავებული, რაც საერთო კვლევის მაჩვენებლის 25 პროცენტს შეადგენს.

ნაშრომში შემუშავდა რისკ-მენეჯმენტის სისტემა, რომელიც მოიცავს მოკლევადიან,გრძელვადიან და საშუალოვადიან სტრატეგიებს. შეიქმნა კვლევის საფუძველზე პრაქტიკული ინსტრუმენტები: რისკ-შეფასების კითხვარი, ფინანსური რისკების მატრიცა და ლიკვიდურობის მართვის სისტემა.

ნაშრომში შემუშავებულია მრავალდონიანი რისკ-მენეჯმენტის სისტემა, რომელიც მოიცავს მოკლევადიან, საშუალოვადიან და გრძელვადიან სტრატეგიებს. შექმნილია პრაქტიკული ინსტრუმენტები: რისკ-შეფასების კითხვარი.

კვლევამ ასევე აჩვენა, რომ რომ ეფექტურ რისკ-მენეჯმენტს საქართველოს სასტუმრო ბიზნესში ესაჭიროება ინტეგრირებული მიდგომა, რომელიც გაითვალისწინებს ადგილობრივ სპეციფიკასა და საერთაშორისო პრაქტიკას. შემუშავებული რეკომენდაციები შესაძლებელია გამოყენებლი იყოს როგორც ინდივიდუალური სასტუმროებისთვის ასევე ზოგადად მთლიანი ინდუსტრიისთვის.

საკვანძო სიტყვები: სასტუმრო ბიზნესი, სასტუმრო ბიზნესის რისკ-მენეჯმეტნი განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყანაში, ტურიზმი საქართველოში.